



**ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახური**

30 დეკემბერი 2024



N 810

ქ. თბილისი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**აუდიტორული ფირმის - შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს  
მოკვლევის შედეგების შესახებ**

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“ (ს/ნ 405193124, იურიდიული მის.: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, აფაქიძის ქუჩა N11, სართული 11, ბინა N151) (შემდგომში - აუდიტორული ფირმა) აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია სარეგისტრაციო ნომრით - SARAS-F-344896.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გაირკვა, რომ აუდიტორულმა ფირმამ განახორციელა [REDACTED] (შემდგომში - სუბიექტი) [REDACTED] წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი და ორივე შემთხვევაში გამოსცა „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ (გარიგების პარტნიორს ორივე გარიგების შემთხვევაში წარმოადგენს ივანე კუტიბაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-629166)).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამსახური უზრუნველყოფს მოკვლევის სისტემის ჩამოყალიბებას, მოკვლევის ჩატარების წესებისა და მეთოდოლოგიის შემუშავებას, საკუთარი ინიციატივით ან/და წარმოდგენილი განცხადების ან/და საჩივრის საფუძველზე აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებით მოკვლევის ინიცირებას.

„აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ მოკვლევის ჩატარების წესის განსაზღვრის თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 15 ნოემბრის N6-10 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - მოკვლევის წესი) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოკვლევა არის სამსახურის მიერ წარმართული პროცესი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ, რომელიც ხორციელდება საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით და არ მოიცავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს. მოკვლევის წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამსახურს, საკუთარი ინიციატივით, შეუძლია დაიწყოს მოკვლევა აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ, რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე. ასევე, მოკვლევის დაწყების საფუძველი შესაძლებელია იყოს დაინტერესებული პირის განცხადება ან/და საჩივარი. სამსახურის ან/და დაინტერესებული პირის ინიციატივა მოკვლევის დაწყების თაობაზე უნდა ეფუძნებოდეს გონივრულ ეჭვს იმის შესახებ, რომ დარღვეულია კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნა. ამავე წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, მოკვლევა დაიწყოს რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოების (მათ შორის, „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N3-ის და N4-ის საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაციის ან/და ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის

ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის დამუშავების საფუძველზე) ან/და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას.

სამსახურის მიერ მიღებულ იქნა აუდიტორული ფირმის მოკვლევის დაწყების თაობაზე 2024 წლის 20 აგვისტოს N541 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების თანახმად, მოკვლევა მოიცავს სუბიექტის [REDACTED] წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის განხორციელების ფარგლებში აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმებას.

კანონის და მოკვლევის წესის მოთხოვნათა შესაბამისად, მოკვლევის განმახორციელებელი სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - მოკვლევის სამუშაო ჯგუფი) მიერ დაიწყო აუდიტორული ფირმის მოკვლევა (შემდგომში - მოკვლევა).

მოკვლევის წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოკვლევა არის სამსახურის მიერ წარმართული პროცესი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ, რომელიც ხორციელდება საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით და არ მოიცავს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს, ხოლო ამავე წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის მიზანია შემოწმდეს მოკვლევას დაქვემდებარებული პირის საქმიანობა, თუ რამდენად არის აუდიტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნები შესრულებული.

მოკვლევის წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოკვლევის შედეგად წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის/სხვა მტკიცებულების საფუძველზე გამოვლენილი სამართალდარღვევის შემთხვევაში, სამსახური უფლებამოსილია მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება აუდიტორისთვის/აუდიტორული ფირმისთვის კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. მოკვლევის წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სამსახური იწყებს მოკვლევას და არაუგვიანეს 3 თვისა იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთან, მოკვლევის წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, სამსახურის გადაწყვეტილებით, შეიძლება გაგრძელდეს 6 თვემდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის 2024 წლის 20 აგვისტოს N541 ბრძანების საფუძველზე დაწყებული მოკვლევის პროცესში, აუდიტორული ფირმისგან მოპოვებული იქნა სუბიექტის [REDACTED] წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის გარიგებების საბოლოოდ დაკომპლექტებული ფაილები. თუმცა, მოსაკვლევნი საკითხის მნიშვნელობის, აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული სამუშაოებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სამსახურის 2024 წლის 06 ნოემბრის N703 ბრძანების შესაბამისად, მოკვლევა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, გაგრძელდა 6 თვემდე.

კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოში აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - ასს) შესაბამისად, ხოლო ასს არის აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო საბჭოს (IAASB) მიერ ან მისი უფლებამონაცვლე ორგანოს მიერ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებსაც მოიცავს ამ ორგანოს და მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი.

შესაბამისად, მოკვლევის სამუშაო ჯგუფმა აუდიტორული ფირმის მიერ განხორციელებული სუბიექტის [REDACTED] და [REDACTED] წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ფარგლებში შეამოწმა მოსაზრების გამოთქმაზე უარის შემდეგ კლიენტთან მომსახურების გაგრძელებისას აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის/ასს-ების მოთხოვნების შესრულება. კერძოდ, მოკვლევის ფარგლებში სამსახურის 2024 წლის 20 აგვისტოს N16/63956 წერილით აუდიტორულ ფირმას ეთხოვა სუბიექტის [REDACTED] წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის გარიგებების საბოლოოდ დაკომპლექტებული ფაილების სამსახურისთვის მოწოდება, რის საპასუხოდაც აუდიტორულმა ფირმამ მოკვლევის სამუშაო ჯგუფს წარუდგინა აუდიტის საბოლოოდ დაკომპლექტებული ფაილები. ამასთან, 2024 წლის 23 ოქტომბერს მოკვლევის სამუშაო ჯგუფმა გამართა შეხვედრა აუდიტორულ ფირმასთან, ხოლო შეხვედრაზე განხილული იქნა [REDACTED] წლების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის გარიგებები. კერძოდ [REDACTED] წლის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის ფარგლებში აუდიტორული ფირმის მიერ გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც გამოიწვია უარი მოსაზრების გამოთქმაზე და ფირმის მიერ გაცემული რეკომენდაციები, რომლის შესრულების შემდეგაც სუბიექტი შეძლებდა მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველების აღმოფხვრას, ხოლო [REDACTED] წლის ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან მიმართებით - გარიგების გაგრძელების ეტაპზე აუდიტორული ფირმის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, რომელიც საფუძველი გახდა აუდიტორული მომსახურების გაგრძელების/შესრულების. 2024 წლის 28 ნოემბერს სამსახურმა შეხვედრა გამართა სუბიექტთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა [REDACTED] წლების ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით



აუდიტორული ფირმის მიერ გაცემული მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლები და აუდიტორული ფირმის მიერ გარიგებების დასრულებისას გაცემული რეკომენდაციების შესრულების პროგრესი.

მოკვლევის შედეგად წარდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის საფუძველზე, მოკვლევის სამუშაო ჯგუფის შეფასებით, აუდიტორული ფირმის მიერ გადმოცემულ აუდიტის ფაილში არ იყო დაცული 210-ის მე-3 და მე-7 პუნქტების და ასს 705-ის (გადასინჯული) მე-6, მე-9, მე-10 და გ8 პუნქტების მოთხოვნები.

მოკვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა მოკვლევის წინასწარი შედეგების ამსახველი ანგარიში, რომელიც ასახავს მოკვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ მოკვლევის მსვლელობის შედეგად გამოვლენილ ფაქტს, აუდიტორული ფირმისთვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და წინასწარი შედეგების გამოყენების ფარგლებს.

სამსახურის 2024 წლის 13 დეკემბრის N16/92236 წერილით აუდიტორულ ფირმას განსახილველად გაეგზავნა მოკვლევის წინასწარი შედეგების ამსახველი ანგარიში და ეთხოვა 05 სამუშაო დღის ვადაში წერილობითი პოზიციის წარმოდგენა წინასწარ შედეგებთან დაკავშირებით.

2024 წლის 23 დეკემბერს აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურში წარმოდგენილია წერილობითი პოზიცია მოკვლევის წინასწარ შედეგებთან დაკავშირებით (სამსახურში რეგისტრაციის N212445/16, 24.12.2024) (შემდგომში - აუდიტორული ფირმის პოზიცია). მოკვლევის სამუშაო ჯგუფმა ვერ გაიზიარა ფირმის პოზიცია, ვინაიდან მისი ანალიზისა და ფირმასთან გამართული შეხვედრის შემდეგ გამოვლინდა, რომ ფირმის პოზიცია დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, ამასთან, არ არის გამყარებული შესაბამისი აუდიტის მტკიცებულებებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტორული ფირმის წინასწარი შედეგების განხილვის ეტაპის დასრულების შედეგად, მოკვლევის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა მოკვლევის საბოლოო შედეგების ამსახველი ანგარიში, რომელიც სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2024 წლის 26 დეკემბრის N121596-16 მოხსენებითი ბარათით წარედგინა სამსახურის უფროსს

კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონის V თავით გათვალისწინებულ აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების (მათ შორის, შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების, ამ კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული წესების, ამ კანონის მე-19 მუხლით განსაზღვრული ხარისხის მართვის სისტემის მიმართ მოთხოვნებისა და ამ მართვის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების) დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის დაჯარიმებას 500 ლარიდან 5 000 ლარამდე ოდენობით ან/და რეესტრიდან ამოღებას.

მოკვლევის სამუშაო ჯგუფმა, მოკვლევის ფარგლებში შემოწმებული აუდიტორული საქმიანობიდან (მომსახურებიდან) გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ აუდიტორული ფირმის მიერ დარღვეულია ასს-ებით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ აუდიტორულ ფირმას დაეკისროს პასუხისმგებლობა და დაჯარიმდეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

ამასთან, მოკვლევის სამუშაო ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ აუდიტორულმა ფირმამ არსებითად და ყოვლისმომცველად გააუმჯობესოს, მოკვლევის საბოლოო შედეგებში წარმოდგენილი, გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებით განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნების შესრულება.

კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მოკვლევის წესის მე-3 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-7 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებისა და მე-12 მუხლის პირველი პუნქტის, ასს-ების და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2024 წლის 26 დეკემბრის N121596-16 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დასრულდეს აუდიტორული ფირმის - შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“ (ს/ნ 405193124, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-344896) მოკვლევა;
2. აუდიტორული ფირმა - შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“ (ს/ნ 405193124, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-344896) დაჯარიმდეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარით;
3. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;

4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;

5. წინამდებარე ბრძანება გაეგზავნოს აუდიტორულ ფირმას - შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“ (ს/ნ 405193124, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-344896);

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

<https://edoc.mof.ge/public/#/810-16-4-202412301134>

